საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7563/01
20/07/2021

7563-01-2-202107201403

შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების
უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგის“ დირექტორს
ბატონ ვახტანგ წერეთელს
მის: ქ. თბილისი, ლარსის შეს. №5, ბინა №29
ელ. ფოსტა: vakhotsereteli@gmail.com

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 21 ივნისის N10868 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში არსებული სამედიცინო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, მათ შორის წარმადობის გაზრდას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს წარმადობა შეადგენს წელიწადში 20 ტონას (235 კგ/სთ), ხოლო ნარჩენების ინსინერაციის შემდგომ წარმოქნილი ნაცრის წლიური რაოდენობა საერთო ნარჩენის 2-3%-ს შეადგენს (20 ტ ნარჩენის ინსინერაციის შემთხვევაში წარმოიქმნება 0.45 ტონა ნაცარი). მიმდინარე წლის 15 ივლისს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გამართულ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე საქმიანობის განმახორციელებელმა აღნიშნა, რომ საწარმოს წარმადობა 20 ტონაზე მნიშვნელოვნად მეტია (დაახლოებით 180-200 ტ/წ). ამასთან, დაფიქსირდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაზრდილი წარმადობით მუშაობა, ვინაიდან ახალი დანადგარი იძლევა ამის შესაძლებლობას. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს წარმადობა (საათში, წელიწადში), მათ შორის მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში. გარდა ამისა, დაზუსტებას საჭიროებს წარმადობის შესაბამისად საწარმოში წარმოქმნილი ნაცრის (ფერფლის) რაოდენობა;
- სკოპინგის ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას წელიწადში სამუშაო დღეების/საათების რაოდენობის შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის წყალმომარაგების შესახებ. მათ შორის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის საკითხი;
- დეტალურად უნდა იყოს მოცემული საპროექტო ინსინერატორის ტექნოლოგიური პროცესის აღწერა (ნარჩენების ჩატვირთვიდან მის სრულ წვამდე);

- წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია გამწმენდ მოწყობილობაში გაწმენდილი ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ნარჩენების მართვის საკითხები ასახულია სამინისტროსთვის შესათანხმებლად წარდგენილი ნარჩენების მართვის გეგმაში. წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესაბამისად, განსახორციელებელი სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების შესახებ. ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და წარმოქმნილი ნაცრის საბოლოო მართვის შესახებ.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს სკოპინგის დასკვნა.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე